ხაშურის მოამბე

№38(362) 18 ოქტომბერი, სამშაბათი, 2022 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილში მისასვლელი გზის მშენებლობა დაიწყო

„ამჟამად მიმდინარეობს გზის მოსწორების სამუშაოები, პროექტით გათვალისწინებულია ასფალტის საფარის დაგება და საგზაო მონიშვნების გაკეთება.

აქამდე, სოფელ ბრილამდე მისასვლელი გზა კაპიტალურად არასდროს მოწყობილა,რაც, თავისთავად, გადაადგილებას აფერხებდა. მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.“ აღნიშნა მიმდინარე სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად სოფელ ბრილში იმყოფებოდნენ და სამუშაოებს გაეცნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით,გარდამავალ პროექტს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს,პროექტის ღირებულება კი 1864241 ლარს შეადგენს.

დაათვალიერეს სასპორტო ინფრასტრუქტურული პროექტები

ხაშურის მუნიციპალიტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძემ და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა მუნიციპალიტეტში მიმდინარე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერეს.

დასრულებულია სოფელ ბიჯნისში მინი სტადიონის მოწყობა. მოწყობილია ხელოვნურსაფარიანი მოედანი, დამონტაჟებულია საფეხბურთო კარები და კალათბურთის ფარები, მოწყობილია ღობე.

ბიჯნისში მინისტადიონის მოწყობის პროექტის ღირებულება 84077 ლარია.

აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს მინისტადიონების მოწყობა სოფელ ურთხვასა და დაბა სურამში - ცოცხნარის გადასახვევთან. ურთხვაში მიმდინარე პროექტის ღირებულება 97490 ლარით ფინანსდება, ცოცხნარის გადასახვევთან მიმდინარე მინისტადიონის მოწყობის სამუშაოების ღირებულება კი - 105 805 ლარია.

„მუნიციპალიტეტი ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, შესაბამისად, მინისტადიონების და ზოგადად, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია“, განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

სამივე პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის მხარდაჭერით ხორციელდება.

ამერიკული ჯაზკვინტეტი - ხაშურში

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოწვევით და ადგილობრივი მერიის მხარდაჭერით, ჩაილი O’Doherty ჯაზ კვინტეტმა ნიუ-იორკიდან, ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში კონცერტი გამართა, რომელიც შემდგომ ხაშურის სამუსიკო სკოლაში გაგრძელდა მასტერკლასის სახით,სადაც ჯაზის მოყვარულებმა, არაერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს და კვინტეტის შესრულებით, სხვადასხვა კომპოზიცია მოისმინეს..

ღონისძიება საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 30 წლისთავს მიეძღვნა.

ქალაქ ხაშურში, ჩქაროსნული ავტომაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია აქტიურად გრძელდება

აღნიშნული მონაკვეთი ქალაქს, ცენტრალურ მაგისტრალთან აკავშირებს, ამიტომ გზის მოწესრიგება მნიშვნელოვანია, უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილების თვალსაზრისით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ასფალტის საფარის დაგების სამუშაოები, პროექტის ფარგლებში, სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა საგზაო ინფრასტრუქტურა.

გზის მოწყობის სამუშაოები,რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს, 1 151 597 ლარს შეადგენს.

გარდამავალ პროექტს, ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ჰედეფ ჯორჯია“ ახორციელებს.

- თანასწორობა -

პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ კიდევ ოთხი ხაშურელი გამარჯვებული ჰყავს

ჩვენს წინა რუბრიკაში სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ გამოცხადებული სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ორი გამარჯვებული ხათუნა ჩიტაძე და ქეთევან გიგოლაშვილი გაგაცანით. სასიხარულო სიახლე აღმოჩნდა ის, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში კიდევ გვყავს კონკურსის რამდენიმე გამარჯვებული და შევეცდებით, გენდერულ ჭრილში, ისინი წარმოგიდგინოთ.

სახელმწიფო სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მიზანია, მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება,თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა. 2022 წლის პროგრამა ორ მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავდა: ბიზნესის წამოწყებისათვის ან არსებულის გაფართოება- გადაიარაღებისათვის აუცილებელ ფინანსურ მხარდაჭერას და ტექნიკურ დახმარებას.

ახალი ბიზნესის წამოწყებასთან ერთად პრიორიტეტი ენიჭებოდა ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება - გაფართოებაზე ორიენტირებულ პროექტებს.

ნანი ლომსაძე

ხორბლის მსოფლიოში ცნობილი 27 სახეობიდან 14 საქართველოში გვხვდება. 5 მათგანი საქართველოს ენდემური ჯიშია. სხვადასხვა ჯიშის ხორბალს განსხვავებული გემო და არომატი აქვს.

შიდა ქართლის სოფლის მეურნეობაში ოდითგანვე წამყვანი ადგილი ეკავა მარცვლეულის წარმოებას. მათგან ჭარბობდა ხორბალი. ბოლო დროს ხაშურის მუნიციპალიტეტში დაიწყო ძველი ქართული ჯიშის ხორბლების წარმოება, სოფელ ნაბახტევში მცხოვრები ფერმერის ანზორ მაისურაძის მიერ, რომელსაც მიმდევრებიც გაუჩნდნენ.

ხორბლის ჯიშებიდან, რომელიც საქართველოში საუკუნეთა მანძილზე შეიქმნა, განსაკუთრებით ძვირფასია რბილი ხორბლის საშემოდგომო ფხიანი წვრილმარცვლიანი ჯიშები, ე.წ. „დოლის პური“.

დოლის პურის მარცვალს ახასიათებს ცხობის მაღალი უნარიანობა. ცომი ზელაში კარგად ფუვდება, მატულობს, ძარღვიანია, ცხვება გემრიელი, სურნელოვანი რბილი პური.

ხაშურელმა ქალბატონმა ნანა ლომსაძემ გადაწყვიტა, გაეცოცხლებინა ქართული ენდემური ჯიშების ხორბლებისგან პურის ცხობის ტრადიცია. ამ თემის უკეთ შესწავლის მიზნით, კვალიფიკაცია აიმაღლა კოლეჯ „იკაროსში“, მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი, რის შემდეგაც დაიწყო ფიქრი საცხობის მოწყობაზე. ამ პერიოდში გამოცხადდა სააგენტო „აწარმოე საქართველოს“ მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო პროგრამა, სადაც წარადგინა ბიზნეს იდეა ტრადიციული მეთოდით პურის ცხობის აღორძინების თაობაზე. იდეამ დაინტერესება ჰპოვა კონკურსის ორგანიზატორებში და, სათანადო ეტაპების გავლის შემდეგ, გახდა გამარჯვებული. სააგენტოსთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ინდმეწარმე 20%-ანი თანადაფინანსებით მოაწყობს საცხობ ფართს საკუთარ სახლში, რის შემდეგაც, საგრანტო თანხით მოხდება საჭირო აღჭურვილობის შეძენა.

სულ მალე ხაშურში გამოცხვება ბიოსაფუარზე დამზადებული,ეკოლოგიურად სუფთა ჭვავის, დოლის, ლომთაგორის და სხვა ქართულ ენდემური ჯიშების ხორბლის პური. ბუნებრივი გზით დამზადებული საფუარის ანტი-სოკოვანი და ანტი-ბაქტერიული თვისებები დიდხანს ინახავს პურს, გემრიელია და სასარგებლო თვისებები აქვს.

პურის დისტრიბუცია მოხდება სხვადასხვა ქსელში, მათ შორის ტურისტულ ობიექტებში, რაც ხელს შეუწყობს ქართული პურის ცხობის ტრადიციის აღორძინებას და პოპულარიზაციას.

მზია ბრეგვაძე

„მზია ბრეგვაძე „აწარმოე საქართველოს“ ერთ-ერთი გამარჯვებულია, რომელიც ხაშურში, ჭალის დასახლებაში, თავდადებულის ქუჩის ბინებთან, გახსნის შოთის პურის საცხობს შეშაზე. აღნიშნულ დასახლებაში, სადაც 600 ოჯახი ცხოვრობს,მსგავსი საცხობი არ არის. პროექტის გამარჯვების წინაპირობა ისიც გახდა, რომ საწარმო 2 ახალგაზრდა მცხობელ ქალს დაასაქმებს.

ქალბატონი მზია დამწყები მეწარმეა, თონეში მუშაობის გამოცდილებამ მისცა მოტივაცია, საკუთარი საქმე და შემოსავლის წყარო ჰქონოდა. სწორად გათვლილმა მარკეტინგულმა სტრატეგიამ და კარგად შედგენილმა ბიზნეს გეგმამ მას იდეის ხორცშესხმის საშუალება მისცა. მალე ჭალისუბნის დასახლებას ახალი თონე შეემატება, სადაც შოთის პური ნატურალური ინგრედიენტებით, დანამატების გარეშე გამოცხვება. მეწარმე ქალს იმედი აქვს,რომ პურზე მოთხოვნა მზარდი გახდება და შესაძლოა საცხობის გაფართოებაც მოახდინოს.

ჯაბა ცხოვრებაშვილი

პროექტი ქალაქის ცენტრში არსებულ „ფიტნეს ზონისთვის“ ტექნიკური აღჭურვილობის განახლებას ითვალისწინებს. ფიტნესის დარბაზი 2019 წელს გაიხსნა. მას უკვე ჰყავს საკმაო მომხმარებელი. დარბაზის სტუმრები არიან ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი ლუკა მაისურაძე, საქართველოს რაგბის ნაკრების წევრები გურამ გოგიჩაიშვილი და გია ხარშილაძე.

ფიტნესის მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაა, რაც თანამედროვეობის უდიდესი გამოწვევაა. იგი იმ ადამიანების ცხოვრების განუყოფელი წესია, ვინც სულის და სხეულის ჰარმონიისაკენ ისწრაფვის, ზრუნავს თავის ჯანმრთელობაზე და სურვილი აქვს მუდამ კარგად გამოიყურებოდეს. ფიტნესი ხელს უწყობს კუნთური მასის ზრდას, წონის კლებას, კვების რეჟიმითან კომბინაციაში.

ფიტნესისადმი ინტერესის გაზრდის გამო საჭირო გახდა ინვენტარის: კარდიოსავაჯიშოების, ბილიკების, თხილამურების, ველოსიპედების დამატება, რაც პროექტში გაიწერა.

სავარჯიშო პროგრამას ადგენს ფიტნეს ინსტრუქტორი, რომელიც მეთვალყურეობს ვარჯიშის პროცესს. მზარდი მოთხოვნის გამო, პროექტით გათვალისწინებულია კიდევ ორი ფიტნეს ინსტრუქტორის დამატება. გაიზრდება სამუშაო საათების გრაფიკიც. ბოლო დროს, გენდერული თვალსაზრისით, თითქმის გათანაბრებულია მდგომარეობა. ქალებიც ისევე აქტიურად არიან ჩართულები სხეულის გაჯანსაღების პროცესში, როგორც მამაკაცები. მიუხედავად რამდენიმე ქალის სურვილისა, ცალკე ჯგუფი შექმნილიყო მათთვის,ხელმძღვანელები არ დათანხმდნენ და ქალები და კაცები ერთ სივრცეში აგრძელებენ ვარჯიშს. დარბაზი სრულადაა დატვირთული. სამომავლოდ გაფართოებაც იგეგმება. ასე, რომ ფიტნესი მომავლის ბიზნესი ხდება.

გია ხერხეულიძე

რკინის ნაკეთობებს საკმაოდ კარგად იცნობენ და ბევრი მომხმარებელიც ჰყავს. რკინის ჩუქურთმების ოსტატი კარებს,საოჯახო ავეჯს,აივნებს ამზადებს.

გია ხერხეულიძის უკვე დასრულებული ნამუშევრები, ხაშურის რესტორნებს, დიდ ობიექტებს ამშვენებენ.

მისი რკინასთან ურთიერთობა ბავშვობიდან მოდისყველაფერი ინტერესს იწვევდა, რაც რკინას ეხებოდა, 15-16 წლისა უკვე დამოუკიდებლად აკეთებდა მცირე ზომის ნაკეთობებს, რაც შეეხება უკვე პროფესიად ქცევას, დაახლოებით 18 წელია ამ საქმიანობას ეწევა. ამზადებს ჭაღებს, ჟალუზებს, აივნებს,რკინის დიდი ზომის კარს. რკინასთან მუშაობა დიდ ფიზიკურ შრომას მოითხოვს,ყველა ხელსაწყო,თავისი ღირებულებიდან გამომდინარე,არც ჰქონდა. კონკურენციამაც იმატა, დამკვეთს კარგი, დროული, იაფი და ხარისხიანი მომსახურება უნდა შესთავაზო, რაც მარტო ერთი ადამიანისთვის, რთულია. ახალი სახელოსნო და ხელსაწყოები გია ხერხეულიძეს ამის შესაძლებლობას მისცემს. პროგრამის ფარგლებში შეძენილი დაზგა - დანადგარები შეუმცირებს ნაკეთობის წარმოების დროს, გაზრდის წარმოებული პროდუქციის ხარისხსა და კმაყოფილ მომხმარებელს.

ხაშურელ დამწყებ და არსებულ მეწარმეთა წარმატებები წლევანდელ კონკურსში ბევრ ადამიანს მისცემს სტიმულს წამოიწყოს ან გააფართოოს საკუთარი ბიზნესი.

2022 წელს მიკროგრანტების პროგრამას უპრეცედენტო რაოდენობის - 1400-მდე ბენეფიციარი ჰყავს, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით დაფინანსდა 1400-მდე პროექტი და შეიქმნა როგორც ახალი ბიზნესები, ასევე ახალი სამუშაო ადგილები.

მიკრო და მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში 2015 წლიდან 2021 წლის ჩაათვლით სულ დაფინანსებულია 7 ათასამდე პროექტი, რომლის ჯამური ინვესტიცია შეადგენს 78 689 703 ლარს, დასაქმებულთა რაოდენობა კი 17 446 ადამიანს აღწევს.

მარიამ იზორია

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ხაშურის მუნიციპალიტეტის შესახებ

(მოსახლეობა და ეკონომიკური მდგომარეობა)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ.„ხმ“,#36)

ლუბრუმის აღწერა ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებითაც. მითითებულია, რომ ველი სეხნია ქაიხოსროს ძის ხელშია და დღიური მფლობელობით 12 ახჩაა შეწერილი. სეხნია ქაიხოსროს ძე ჩხეიძე, ქართლის ჩხეიძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელია, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი. ლუბრუმელებზე გაწერილი იყო 120 ქილა ხორბალი (2400 ახჩა), 50 ქილა ქერი (750 ახჩა), 40 ქილა ჭვავი (600 ახჩა), 40 ქილა ფეტვი (600 ახჩა). გადასახადს იხდიდნენ ერბოზე (190 ახჩა), სკაზე (120 ახჩა), ცხვარზე (600 ახჩა), ღორზე (200 ახჩა).

უშრის გადსახადი ვენახზე შეადგენდა 200 ახჩას.

არუსანე გადასახადი 120 ახჩაა, დეშთიბანის და მიწაზე თაფუს გადასახადი 250 ახჩა, ბადიჰავას ჯგუფის გადასახადი - 400 ახჩა.

ოსმალურ ვალდებულებათა და გადასახადთა საერთო ოდენობა შეადგენდა 10990 ახჩას.

სოფელ ქემფერში (ქებადი) 12 კომლი სახლობს. მათში სრულწლოვანია 18 კაცი, რომელიც იხდის ისფინჯის გადასახადს 2160 ახჩის ოდენობით. არის მიწაზე დაწესებული გადასახადი - 50 ახჩა.

ქემფერზე შეწერილია 110 ქილა ხორბალი (2200 ახჩა), 80 ქილა ქერი (1200 ახჩა), 30 ქილა ჭვავი (450 ახჩა) და 40 ქილა ფეტვი (600 ახჩა). გადასახადს იხდიან ერბოზე - 220 ახჩა, სკაზე - 120, ცხვარზე - 200, ღორზე - 150.

უშრის გადასახადი 40 დონუმ ვენახზე შეადგენდა 1600 ახჩას.

არუსანეს გადასახადს იხდიდნენ 120 ახჩას, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადს კი 200 ახჩას. ბადიჰავას გადასახადი შეადგენდა 200 ახჩას. ოსმალური ვალდებულებების და გადასახადების ოდენობა შეადგენდა 9740 ახჩას.

სოფელ ოძიშში 18 კომლი სახლობდა 35 სრულასაკოვანი კაცით. ისფინჯის გადასახადის ოდენობა 35 სრულასაკოვან კაცზე 4200 ახჩა იყო. მიწაზე გადასახადის ოდენობა 50 ახჩით განისაზღვრებოდა, ხოლო სამეუფეო ველზე 20 ახჩით.

ოძისელები იხდიდნენ: 200 ქილა ხორბალს (4000 ახჩა), 100 ქილა ქერს (1500 ახჩა), 40 ქილა ჭვავს (600 ახჩა) და 60 ქილა ფეტვს (900 ახჩა). გადასახადი ჰქონდათ შეწერილი ერბოზე (350 ახჩა), სკაზე (120), ცხვარზე (300 ახჩა) და ღორზე.

უშრის გადასახადს 60 დონუმ ვენახზე იხდიდნენ 2400 ახჩის ოდენობით. არუსანეს გადასახადი იყო 120 ახჩა, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასასხადი 200 ახჩას.

ჰქონდათ ერთი თვალი წისქვილი, სრული წლით გადასახადი იყო 60 ახჩა.

ბადიჰავას გადასახადი შეადგენდა 450 ახჩას.

ოსმალურ ვალდებულებათა და გადასახადთა ოდენობა შეადგენდა 15200 ახჩას.

სოფელ ურთხვაში (უთხვა) ფიქსირდებოდა 15 სახლი. იყო სრულასაკოვანი 27 კაცი, რომელიც იხდიდა ისფენჯის გადასახადს 3240 ახჩის ოდენობით. მიწაზე გადასახადის ოდენობა 50 ახჩაა, ხოლო სამეუფეო (სახასო) ველის 12 ახჩა.

ურთხველები იხდიდნენ 160 ქილა ხორბალს (3200 ახჩა), 120 ქილა ქერს (1800 ახჩა), 60 ქილა ჭვავს (900 ახჩა), 80 ქილა ფეტვს (1200 ახჩა). აგრეთვე იხდიდნენ გადასახადს ერბოზე (220 ახჩა), სკაზე (120 ახჩა), ცხვარზე (290 ახჩას), და ღორზე (120 ახჩა).

უშრის გადასახადს 50 დონუმ ვენახზე შეადგენდა 2000 ახჩა.

არუსანეს გადასახადი 120 ახჩა იყო. დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი შეადგენდა 250 ახჩას. ბადიჰავას გადასახადი კი 350 ახჩას.

ოსმალური გადასახადებისა და ვალდებულებების ოდენობა შეადგენდა 13810 ახჩას.

სოფელ წაბლოვანაში (წაბლოვანი) 10 კომლი ცხოვრობს. აქ არის გადასახადის გადამხდელი 21 სრულწლოვანი კაცი, რომლებიც ისფინჯის გადასახადს 2520 ახჩის ოდენობით იხდიან. მიწაზე გადასახადი 50 ახჩით განისაზღვრებოდა.

წაბლოვანას უნდა გადაეხადა 100 ქილა ხორბალი (2000 ახჩა), 60 ქილა ქერი (900 ახჩა), 30 ქილა ჭვავი (450 ახჩა), 40 ქილა ფეტვი (600 ახჩა). ამასთანავე იხდიდნენ გადასახადს ერბოზე (240 ახჩა), სკაზე (120 ახჩა), ცხვარზე (300 ახჩა) და ღორზე (120 ახჩა).

უშრის გადასახადს 50 დონუმ ვენახზე იხდიდნენ 2000 ახჩის ოდენობით. არუსანეს გადასახადი გაწერილი იყო 120 ახჩის ოდენობით. დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი შეადგენდა 200 ახჩას. ბადიჰავას გადასახადი კი 300 ახჩას. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებები 9870 ახჩას შეადგენდა.

სოფელ იტრიაში ფიქსირდება 31 კომლი. გადასახადის გადამხდელია 37 სრულასაკოვანი კაცი. მათ შორისაა თავადი სეხნია ქაიხოსროს ძე [ჩხეიძე], მისი ძეები - გიორგი და ქაიხოსრო. აქვეა 2 კომლი აზნაური.

როგორც სხვაგან, აქაც ისფინჯის გადასახადს იხდის სრულასაკოვანი მოსახლეობა - 37 კაცი და შეადგენს 4440 ახჩას.

იტრიელები იხდიან 300 ქილა ხორბალს (6000 ახჩა), 200 ქილა ქერს (3000 ახჩა), 50 ქილა ჭვავს (450 ახჩა), 140 ქილა ფეტვი (1800 ახჩა). იხდიდნენ გადასახადს ერბოზე (220 ახჩა), სკაზე (120 ახჩა), ცხვარზე (450), ღორზე (220 ახჩა).

უშრის გადასახადი 80 დონუმ ვენახზე შეადგენდა 3200 ახჩას, ხოლო საბოსტნე მიწაზე 200 ახჩას.

გადასახადს არუსანეზე იხდიდნენ 180 ახჩის ოდენობით, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი კი 200 ახჩას. ბადიჰავაზე გადასახადი შეადგენდა 350 ახჩას.

ოსმალური ვალდებულებებისა და გადასახადების ოდენობა 20740 ახჩას შეადგენდა (იქვე, გვ.273 – 274).

სოფელ ჩუმათელეთზე ნათქვამია, რომ იგი ახლოსაა აბართასთან. აბართას იდენტიფიკაციას ვერ ვახერხებთ. ჩუმათელეთში აღწერილია 20 კომლი (სახლი), რომელშიც დაფიქსირებულია 29 გადამხდელი სრულასაკოვანი კაცი. ისინი ისფინჯის გადასახადს იხდიდნენ 3480 ახჩის ოდენობით. მიწაზე გადასახადი შეადგენდა 50 ახჩას.

ჩუმათელეთელები იხდიდნენ 150 ქილა ხორბალს (3000 ახჩა), 100 ქილა ქერს (1500 ახჩა), 40 ქილა ჭვავს (600 ახჩა), 60 ქილა ფეტვს (900 ახჩა). აგრეთვე გადასახადს იხდიდნენ ერბოზე (250 ახჩა), სკაზე (100 ახჩა), ცხვარზე (2500 ახჩა) და ღორზე (120 ახჩა).

გადასახადი არუსანეზე 120 ახჩა იყო.

დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი 200 ახჩა.

უშრის გადასახადი 40 დონუმ ვენახზე 1600 ახჩა.

ჩუმათელეთში 3 თვალი წისქვილია, სრული წლით გადასახადი შეადგენს 360 ახჩას.

ბადიჰავას ჯგუფში გაერთიანებული ვალდებულებების გადასახადი 250 ახჩა იყო. ოსმალური გადასახადები შეადგენდა 12730 ახჩას

. სოფელ ცედანში 14 კომლია, რომელშიც გადასახადების გადამხდელი 23 სრულასაკოვანი კაცი ფიქსირდება. ისინი იხდიან ისფინჯის გადასახადს 2760 ახჩის ოდენობით.

მიწაზე დღიური მფლობელობით გადასახადი 50 ახჩაა.

ცედანი იხდიდა 140 ქილა ხორბალს (2800 ახჩა), 100 ქილა ქერს (1500 ახჩა), 20 ქილა ჭვავს (300 ახჩა), 60 ქილა ფეტვს (900 ახჩა). გადასახადი შეწერილი იყო ერბოზე (120 ახჩა), სკაზე (100 ახჩა), ცხვარზე (200 ახჩა) და ღორზე (120 ახჩა). უშრის გადასახადი 30 დონუმ ვენახზე შეადგენდა 1200 ახჩას, ხოლო ბოსტანზე 150 ახჩას.

არუსანეზე გადასახადი იყო 120 ახჩა. ამდენივეა დეშთიბანზე და მიწაზე თაფუს გადასახადი - 120 ახჩა. ბადიჰავაზე იხდიდნენ გადასახადს 200 ახჩის ოდენობით. სულ გადასახადები შეადგენდა 10590 ახჩას. ს ო ფ ე ლ ბიჯნისში 18 კომლია. ფიქსირდება გადასახადის გადამხდელი 27 სრულასაკოვანი კაცი. ისინი იხდიან ისფინჯის გადასახადს 3240 ახჩის ოდენობით. მიწაზე დღიური მფლობელობით გადასახადი შეადგენდა 50 ახჩას, ხოლო სამეუფეო ველზე 20 ახჩა.

ბიჯნისელები იხდიდნენ 180 ქილა ხორბალს (3600 ახჩა), 90 ქილა ქერს (1350 ახჩა), 30 ქილა ჭვავს (450 ახჩა), 40 ქილა ფეტვს (600 ახჩა). გადასახადი შეწერილი იყო ერბოზე - 200 ახჩა, სკაზე - 120 ახჩა, ცხვარზე - 200 ახჩა, ღორზე - 120 ახჩა.

უშრის გადასახადი 50 დონუმ ვენახზე გაწერილია 2000 ახჩა. არუსანეს გადასახადია 120 ახჩა.

დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი შეადგენდა 250 ახჩას. ბიჯნისში ერთი თვალი წისქვილია, რომელზეც წლიურად გადასახადი 120 ახჩის ოდენობით არის შეწერილი.

ბადიჰავასი და მასში გაერთიანებული გადასახადები შეადგენდა 350 ახჩას.

ოსმალური ვალდებულებებისა და გადასახადების ოდენობა 11720 ახჩა იყო.

ბიჯნისს დავთარში მოსდევს სოფელი ფონა, რომელიც ფონადირის სახელწოდებითაა დაფიქსირებული. მითითებულია, რომ იგი „ახლოსაა აჩიკბაშის (იმერეთი - თ. ლ.) საზღვართან“. აქ ცხოვრობს 34 კომლი. გადასახადის სრულწლოვანი გადამხდელი ფიქსირდება 57 კაცი. მათზე ისფინჯის გადასახადი შეწერილის 6820 ახჩის ოდენობით.

მიწაზე დღიური მფლობელობით გადასახადი არის 20 ახჩა.

ფონის მოსახლეობა იხდიდა 80 ქილა ხორბალს (1600 ახჩა), 50 ქილა ქერს (750 ახჩა), 20 ქილა ჭვავს (300 ახჩა), 30 ქილა ფეტვს (450 ახჩა). აგრეთვე გადასახადს იხდიდნენ ცხვარზე - 900 ახჩა, ერბოზე - 200 ახჩა, სკაზე - 120 ახჩა და ღორზე - 120 ახჩა.

არუსანეს გადასახადს იხდიდნენ 120 ახჩის ოდენობით. დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი შეადგენდა 250 ახჩას. ბადიჰავას გადასახადი 350 ახჩას.

ოსმალური ვალდებულებანი და გადასახადები ფონაზე გაწერილი იყო 11980 ახჩის ოდენობით.

სოფელ ბრილში 30 კომლია. გადასახადის გადამხდელი სრულასაკოვანია 61 კაცი, რომლებზეც შეწერილია ისფინჯის გადასახადი 7320 ახჩის ოდენობით. აქ მიწის დღიური მფლობელობა 20 ახჩით განისაზღვრება.

ბრილელები იხდიდნენ 400 ქილა ხორბალს (8000 ახჩა), 200 ქილა ქერს (3000 ახჩა), 40 ქილა ჭვავს (600 ახჩა), 50 ქილა ფეტვს (750 ახჩა).

უშრის გადასახადს 60 დონუმ ვენახზე იხდიდნენ 2400 ახჩის ოდენობით. გადასახადები შეწერილი ჰქონდათ ერბოზე - 350 ახჩა, სკსზე - 200 ახჩა, ცხვარზე - 950 ახჩა, ღორზე - 120 ახჩა.

არუსანეს გადასახადს იხდიდნენ 120 ახჩის ოდენობით. დეშ დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი შეადგენდა 250 ახჩას.

ბადიჰავას გადასახადი შეწერილი იყო 400 ახჩის ოდენობით.

ბრილში 6 თვალი წისქვილი იყო, რაზეც სრული წლით იხდიდნენ 720 ახჩას.

ოსმალურ ვალდებულებებსა და გადასახადებს ბრილელები იხდიდნენ 25180 ახჩის ოდენობით (იქვე, გვ.278-279).

მოზრდილი სოფელი ჩანს ვაყა, სადაც 53 კომლი ცხოვრობს. გადასახადის გადამხდელი 103 სრულასაკოვანი კაცია დაფიქსირებული. ისინი ისფინჯის გადასახადს 12360 ახჩის ოდენობით იხდიან. ერთი კაცი 120 ახჩას იხდის.

მიწის დღიური მფლობელობა აქ 50 ახჩაა. სამეუფეო ველის დღიური მფლობელობა კი 12 ახჩა. არის სამეუფეო ვენახიც, რომლის დღიური მფლობელობა 4 ახჩით განისაზღვრება.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,3 0,31,32,33,34,35,36,37)

1942 წლის 30 ივნისს, მემანქანეების პ. ინასარიძის, ბრეგვაძის, დამბაშიძის ბრიგადებმა (თანაშემწეები ლ. მიხაილიდი, ფრანჩუკი, კაკიაშვილი) საკუთარი ძალებით ჩაატარეს ელმავლის მოხარატება და დაზოგეს 8000 მანეთი.

„საელმავლო დეპოს მშრომელებმა ოსტატ ლევან ქვირიას ხელმძღვანელობით, გეგმის გარეშე აღადგინეს და საექსპლუატაციოდ გადასცეს ფრონტიდან ჩამოტანილი მთლიანად უვარგისი 8 ორთქლმავალი“.

1942 წლის საოქტომბროდ ხაშურის საელმავლო დეპოს კოლექტივმა თვალსაჩინოდ გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. ბევრი მათგანი ორასოვანი და სამასოვანი გახდა. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს დეკემბრის თვეშიც და პირველი დეკადა ახალი სარეკორდო მაჩვენებლებით აღნიშნეს. ხარატმა ივანე კურტანიძემ ნაცვლად იმისა, რომ ნავალდებულები ჰქონდა შრომის ნაყოფიერება გაეზარდა 300 პროცენტით, სინამდვილეში 659,7 პროცენტით გაიზარდა. ხარატმა ნიკოლოზ ლომიძემ ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 200 პროცენტისა, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 623 პროცენტამდე.

ანგელინა კვალიაშვილმა, რომელიც რამდენიმე თვის წინ იყო მისული დეპოში, სწრაფად აითვისა ხარატის პროფესია, ივალდებულა, შრომის ნაყოფიერება გაეზარდა 70 პროცენტით ფაქტიურად კი დეკემბრის პირველ დეკადაში მან შრომის ნაყოფიერება გაზარდა 288 პროცენტით.

1942 წლის საელმავლო დეპოში მუშაობდა 45 ქალი. ამას გარდა სხვადასხვა სპეციალობების დაუვალებისათვის ემზადებოდა 20 მემანქანეებად მუშაობდნენ ვასილისა ბონდარენკო, მარიამ გორენკო. მემანქანის თანაშემწეებად ნატალია ხოლუაშვილი, შემდუღებლად ევდოკია ზღუდაძე, მეისრედ – მარიამ თედიაშვილი, ავტომუხრუჭების საამქროს ზეინკლად თამარ ქართველიშვილი. სხვადასხვა პასუხისმგებელ ადგილას მუშაობდა ნ. გაჩეჩილაძე.

1943 წლის საპირველმაისოდ ხაშურელმა რკინიგზელებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს. მათ შეასრულეს წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრებაში ჩაბმისას აღებული ვალდებულებები.

ელმავლის მემანქანემ გიორგი მეგრელიშვილმა ელმავლის გარბენა მოხარატებათა შორის 80 ათასი კილომეტრიდან 200 ათას კილომეტრამდე გაადიდა. მანვე საათში 1,5 კილომეტრით გაიზარდა ელმავლის ტექნიკური სიჩქარე. საუკეთესოდ იყო მოვლილი ის ელმავლები, რომლებიც განპირობებულია მემანქანე-ინსტრუქტორ ირაკლი ჭელიძეზე. საისრო მეურნეობას ფრიად მდგომარეობაში ინახავდა უფროსი მეისრე ვლადიმერ ხიხაძე, კარგად იყო მოვლილი ლიანდაგი, რომელსაც ემსახურებოდა III საოსტატო გზის ოსტატი პავლე ლაბაძე. მემანქანე სერგო ლაბაძე ნავალდებულებზე 5 პროცენტით მეტი საწვავი მასალები დაზოგა.

მატარებელთა მიმოსვლის გრაფიკის ზუსტი დაცვით სახელი გაუთქვეს მოძრაობის განყოფილების მორიგეებმა პლატონ ჭელიძემ და მიხეილ მჟავიამ.

1943 წლის ივნისში დეპოს კოლექტივმა გამარჯვებული გამოვლინდა ა/კ რკინიგზაზე გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა. საბარგო მატარებლების ელმავლის მემანქანეთა შორის პირველ ადგილზე გავიდა მიხეილ შიუკაშვილი, ხოლო სამგზავრო მატარებლების ბრიგადებს შორის ელმავალ ვლ-22-162-ის მემანქანე ვლადიმერ ფრანჩუკი.

დეპოს კოლექტივმა 1943 წელს დაამზადა 44 ათასი მანეთის მარაგნაწილები, ხოლო შეაკეთა 7 ათასი მანეთის მარაგნაწილები. ამ წელს მეელმავლეებმა გასწიეს 228 ათასი მანეთის საერთო ეკონომია. აქედან 31 ათასი მანეთი მოდიოდა ელმავლების შეკეთებაზე. გაწეულ იქნა აგრეთვე 1,2 მლნ კილოვატსაათი ელექტროენერგია ეკონომია. მოწინავეთა შორის იყვნენ მემანქანეები: ვ. გელაშვილი. ქ. დიდებულიძე, დ. კაკაბაძე, ა. ბარანოვსკი. ს. ცხოვრებაშვილი, გ. ჩიტიაშვილი, ვ. რობაქიძე.

მეელმავლეებმა 1943 წელს დაზოგეს 58000 მანეთის ღირებულების ელექტროენერგია, 5%-ით გადაამეტეს ელმავლების გარბენის სადღეღამისო ნორმას. 2%-ით გაადიდეს ელმავლების ტექნიკური სიჩქარე, 8-ჯერ შეამცირეს ავადმყოფი ელმავლების რაოდენობა. შეაკეთეს 75 ნადავლი ვაგონი, სამშობლოს მისცეს 58000 მანეთი.

დეპოს კოლექტივმა გზაზე გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ოქტომბერსა და ნოემბერში .

მოწინავეთა რიგებში იდგნენ საელმავლო დეპოს ახალგაზრდა რკინიგზელები, რომლებიც გამოირჩეოდნენ საწარმოო გეგმების წარმატებითი შესრულებით.

ელდეპოელი ახალგაზრდები: შალვა შალიბაშვილი და ვასილ დერევიანჩენკო საწარმოო გეგმებს სისტემატურად ასრულებდნენ 200 და მეტი პროცენტით. ძირითად სამუშაოსგან მოუწყვეტლად ეუფლებოდნენ ელმავლის მემანქანის პროფესიას. გზის უფროსის მადლობა დაიმსახურა ამავე დეპოს ახალგაზრდა მუშამ ნოდარ ჩიტაძემ, რომელიც აქ სამი თვის წინ იყო მოსული. მისი სიფხიზლის წყალობით თავიდან იქნა აცილებული დეპოში ხანძარი. კარგად მუშაობდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლონაში ჩაბმული ელმავლის კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ვიქტორ გელაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ ბრიგადამ გადამეტებით შეასრულა ვალდებულება – მოხარატებიდან მოხარატებამდე, ნაცვლად 160 ათასი კილომეტრისა გაირბინა 226 ათასი კილომეტრი, რითაც სახელმწიფოს 126 ათასი მანეთის ეკონომია მისცა ბრიგადამ ელმავლის მოხარატება საკუთარი ძალებით და ამასთან შემჭიდროებულ ვადებში ჩაატარა, რისთვისაც გზის ხელმძღვანელობამ ფულადი ჯილდო გადასცა.

წარმატებით შრომობდნენ საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრდობიც. 23 ახალგაზრდადან ყველა წარმატებით ასრულებდა გეგმებს ზეინკლებმა შოთა მელიქიძემ და ნოდარ ლომიძემ 173, ხოლო ჩოჩიშვილმა და ოთარ ჩიტაძემ 153 პროცენტით შეასრულეს მაისის თვის დეკადის დავალება.

ენერგიულად შრომობდნენ დეპოს ხარატი კოსტა ლომიძე, სადგურის მორიგე დიმიტრი ღონღაძე, ნინა ჭავჭავაძე.

ხაშურელმა ახალგაზრდა რკინიგზელებმა 231 ცალი სხვადასხვა სახის იარაღი დაამზადეს განთავისუფლებული რაიონის რკინიგზელებისთვის.

წარმატებებს ხელს უწყობდა რკინიგზაზე სამხედრო წესების შემოღება.

1943 წლის აგვისტოს პირველი დეკადა წარმატებით აღნიშნეს საელმავლო დეპოს საამქროებმა. ელეტრო საამქრომ (ოსტატი ა. გვაზავა) საწარმოო დავალება შეასრულა 131,5 პროცენტით, ხოლო მექანიკურმა საამქრომ (ოსტატი ქვირია) 157 პროცენტით.

ამ საამქროებში არ იყო ჩამორჩენილი მუშა, მათი უმრავლესობა საწარმოო დავალებებს ასრულებდნენ გადამეტებით. ზეინკალ ელექტრიკოსი ქურდაძე, ზეინკალი დევდარიანი გეგმებს ასრულებდნენ 190 და მეტი პროცენტით, ხარატები: ნოზაძე, კვალიაშვილი, ლომიძე „ორასოვნები“, ხოლო მეაკუმულიატორე ცაცანაშვილი „სამასოვანი“ იყო.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მჭედელი რევაზიშვილი, რომელმაც ივლისის გეგმა 347 პროცენტით, ხოლო აგვისტოს პირველი დეკადის 516 პროცენტით შეასრულა.

ელმავლის კომკავშირულმა ბრიგადამ, რომელშიც შედიოდნენ: უფროსი მემანქანე გელაშვილი, მემანქანეები – ძმორაშვილი, ბლიაძე, მემანქანის თანაშემწეები – ტყეშელაშვილი, ოყროშიძე და ნოზაძე, აგრეთვე პრაქტიკანტი ჭიპაშვილი, შეასრულეს ვალდებულება – 8 დღეღამის ნაცვლად, 3 დღეღამეში მოხარატებიდან ელმავლის გამოშვების შესახებ.

ელმავალი მოხარატებაში 15 სექტემბერს, დილის 7 საათზე ჩადგა, ბრიგადამ საკუთარი ძალით შეაკეთა აპარატურა, დაამზადა სხვადასხვა სახის ნაწილები დეპოელმა ქალიაშვილებმა – ახვლედიანმა, გორგაძემ, ლაბაძემ დაასუფთავეს ელმავლის კაბინები, ფარდები.

18 სექტემბერს დილის 7 საათზე ელმავალი გამოშვებული იქნა მოხარატებიდან. მოხარატების ხარისხი ფრიადზე შეფასდა.

ასეთივე ვალდებულება აიღო საელმავლო ბრიგადამ, რომელსაც უფროსი მემანქანე მ. შიუკაშვილი ხელმძღვანელობდა. ბრიგადამ ივალდებულა, თავისი ელმავალი მოხარატებითი შეკეთებიდან გამოეშვა 4 დღე-ღამეში, ნაცვლად 8 დღე-ღამისა. ბრიგადამ წარმატებით გაანაღდა ვალდებულება – 3 დღე-ღამესა და 4 საათში ჩაატარა მოხარატებითი შეკეთება. საგზაო ჟურის გადაწყვეტილებით ბრიგადას მიენიჭა პირველი ადგილი და გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა გ. კიკნაძემ დამკვრელური მუშაობისათვის დააჯილდოვა მ. შიუკაშვილი 1000, მემანქანეები კულუმბეგოვი და კიკნაძე 800-800, ხოლო მემანქანის თანაშემწეები გასიშვილი, ბარანოვსკი და ზუმბაძე 500-500 მანეთით. სარემონტო პერსონალურიდან 300-300 მანეთით დააჯილდოვა ხარატი მ. ნოზაძე, შემდუღებელი ა. ქურდაძე, მებანდაჟე ჩაჩანიძე, მონტიორი დავითაძე, მეავტომატეები დევდარიანი და დერევიანჩენკო.

1943 წლის ოქტომბერში საელმავლო დეპოში ფართოდ გაიშალა კომკავშირის 25 წლისთავის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. ამ დროს საელმავლო დეპოში 57 კომკავშირელი იყო. აქედან 41 სტახანოველი და 9 ლუნინურად მუშაობდა. მეავტომატე დერევიანჩენკომ სექტემბრის გეგმა 300 პროცენტით შეასრულა, ხარატმა გ. ჯალიაშვილმა 202 პროცენტით. საელმავლო დეპოს ახალგაზრდებმა აღებული ვალდებულების გარდა გეგმის ზევით იკისრეს, 29 ოქტომბრამდე აღედგინათ 9 ვაგონი და შეექმნათ მეორე ელმავლის კომკავშირული ბრიგადა. ხაშურელმა მევაგონეებმა, რომლებმაც შეასრულეს ადრე აღებული ვალდებულება 203 ვაგონის აღდგენისა და 25 ტონა შავი ლითონის ჯართის შეგროვების შესახებ, ამჯერად იკისრეს, 29 ოქტომბრამდე კიდევ აღედგინათ 10 ვაგონი. აქედან 2 ვაგონი უკვე აღდგენილი ჰქონდათ 8 ოქტომბერს. სალიანდაგო დისტანციის კომკავშირლებმა გადაწყვიტეს გათავისუფლებულ რაიონებში რკინიგზელებისათვის დაემზადებინათ და გაეგზავნათ 120 სხვადასხვა სახის იარაღი, შეეგროვათ 15 ტონა შავი ლითონის ჯართი.

1943 წელს წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებისას აღებული ვალდებულებანი წარმატებით გაინაღდა საელმავლო დეპოს კოლექტივმა.

ოქტომბრის თვე საუკეთესო მაჩვენებლებით აღინიშნა: დეპოს არ ჰქონია შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შემთხვევა, არცერთი მარცხი და ავარია, რითაც ამიერკავკასიის რკინიგზის საელმავლო დეპოებს შორის დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა გზის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ბაქოს საელმავლო დეპოს ეკავა სექტემბრის მაჩვენებლებით.

გზის საბარგო ელმავლების მემანქანეთა ბრიგადებს შორის პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა ხაშურის ელდეპოს იმ საელმავლო ბრიგადამ, რომლის უფროსი მემანქანე იყო მ. შიუკაშვილი. ამ ბრიგადამ უზრუნველყო უწუნო და უავარიო მუშაობა, ტექნიკური სიჩქარის ნორმების დაცვა და სამუშაოსგან თავისუფალ საათებში მოდერნიზაცია გაუკეთა 10 ნადავლ ვაგონს. ბრიგადა თავის ძალებით ასრულებდა ყოველგვარ სამუშაოებს ელმავალზე. სექტემბერში 8-ის ნაცვლად 3,2 დღე-ღამეში გამოუშვეს ელმავალი მოხარატებიდან.

ბრიგადა მეცხრე თვე იყო, რაც ინარჩუნებდა გზაზე პირველ ადგილს და გზის გარდამავალ წითელ დროშას.

გზაზე პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა აგრეთვე ელდეპოს იმ ცვლამ, რომელსაც მემანქანე-ინსტრუქტორი ირაკლი ქველაძე ხელმძღვანელობდა.

საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა გეგმის გარდა მთელი რიგი სამუშაოები შეასრულა. აღადგინეს და მწყობრში ჩააყენეს ერთი ორთქლმავალი, რომელიც ფრონტიდან იყო ჩამოყვანილი, მოდერნიზაცია გაუკეთეს 11 ნადავლ ვაგონს. 1943-ის 9 თვეში სახელმწიფოს მისცეს 75 ათასი მანეთის ეკონომია შინა რესურსების გამოყენებით. ყოველი თვის საერთო საწარმოო დავალებას 30-35 პროცენტის გადამეტებით ასრულებდნენ.

1943 წელს დეპოს კოლექტივმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო სამხედრო სესხის ობლიგაციების და ფულისა და ნივთების მესამე ლატარიის ბილეთების გავრცელებაში. ამასთან 14 ათასი მანეთის ღირებულების თბილი ტანსაცმელი და საჩუქრები გაუგზავნა წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს. მეელმავლეებმა 1944 წლის მარტში იკისრეს გეგმის გარეშე საკონტაქტო ქსელის სამონტაჟო მატარებლის მოწყობა და სიტყვა საქმედ აქციეს – მოაწყეს 5 ვაგონიანი მატარებელი.

ომის პერიოდში ელდეპოში დაწესებული იყო „სანიმუშო გუნდისა“ და „სანიმუშო საამქროს“ წოდება. პირველი მათგანი მიეკუთვნა ვლ. ფრანჩუკის, მ. შიუკაშვილის, ე. გელაშვილის, საელმავლო ბრიგადებს, მეორე ავტო მუხრუჭების სახელოსნოს (ბრიგადირი გრ. ქართველიშვილი).

მეელმავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მძიმეწონიან მატარებელთა გადმოყვანაში. 1944 წლის მაისის 20 დღეში მათ ზესტაფონიდან ჩამოიყვანეს 22 მძიმეწონიანი მატარებელი, რომელთა ხარჯზეც გადმოტანილ იქნა 4600 ზეგეგმითი ტვირთი, 8 მატარებელი გრაფიკზე საშუალოდ 25 წუთით ადრე მოიყვანა ვასილ რობაქიძემ.

ფართო ხასიათი მიეცა რაციონალიზატორთა საქმიანობას. 1942 წლის 7 თვის მანძილზე დეპოს ტექნიკურ ბიუროში შევიდა 77 წინადადება, რომლებმაც მოგვცა 34 362 მანეთის წლიური ეკონომიკური ეფექტი. რაციონალიზატორთაგან ზეინკალმა გიორგაძემ გააკეთა „ფლიონეცი“, ჭავჭავაძემ – სასადილო კოვზებისთვის შტამპი და სხვა. მემანქანე ა. ფცქიალაძემ მხოლოდ ერთი წინადადებით დაზოგა 50 ათასი მანეთი.

გამოირჩეოდნენ მეელმავლე რაციონალიზატორებიც. მემანქანე-ინსტრუქტორმა ნიკოლოზ ციყელაშვილმა გააუმჯობესა ავტოგადამის საქმე, ნაყოფიერად მუშაობდნენ ამ მიმართულებით დეპოს უფროსი დ. კაკაბაძე, ოსტატი ვ. ელისაშვილი და ინჟინერი ნიკოლაიშვილი.

ომის პერიოდში დეპოს კოლექტივი გამოირჩეოდა შრომის მაღალი ტემპით. 1943 წელს კოლექტივმა ელმავლის საერთო გარბენის წლიური გეგმა შეასრულა 110%-ით, მოხარატებისა – 101%-ით, ტექნკური სიჩქარის გაზრდისა 102,1%-ით, ავადმყოფი ელმავლების ნორმა შემცირდა 26%-ით და დაზოგილი იქნა 5% ელექტროენერგია. გათვალისწინებული 8 დღის ნაცვლად სამნახევარ დღე-ღამეში იქნა გამოშვებული ელმავლების აწევითი შეკეთებიდან. მთელი წლის განმავლობაში მეელმავლეებმა დაზოგეს 158 000 მანეთი.

ხაშურის საელმავლო დეპოს უფროსი დ. კაკაბაძე აჯამებდა განვლილ 1943 წელს, წერილში „პირველობას არ დავთმობთ“, წერდა: „კომუნისტთა და კომკავშირელთა თავდადებული შრომის შედეგად 1943 წელი სასახელოდ დავამთავრეთ. მთელი რიგი სამუშაოები შევასრულეთ გეგმის ზევით და სამშობლოს ათეულათასობით მანეთის ეკონომია მივეცით. ჩვენ გამარჯვებული გამოვედით ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის ბრძოლაში, დავზოგეთ 58500 მანეთის ღირებულების ელექტროენერგია, ამასთან 5 პროცენტით გადავამეტეთ ელმავლების გარბენის სადღეღამისო ნორმა და 2 პროცენტით გავადიდეთ ელმავლების ტექნიკური სიჩქარე, ხოლო 8-ჯერ შევამცირეთ, ნორმასთან შედარებით, ავადმყოფ ელმავალთა რაოდენობა, არცერთი ავარია არა გვქონია, ტექნოლოგიური პროცესი არ დაგვირღვევია, კიდევ უფრო განვამტკიცეთ შრომის დისციპლინა. ახალი წლის პირველ დღეს კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ პირი არ შეგვირცხვენია, ყველა ჩვენი ვალდებულება განაღდებულია პირნათლად, ისე, როგორც საბჭოთა რკინიგზელებს უყვართ, ვივალდებულეთ და კიდეც აღვადგინეთ და შევაკეთეთ 75 ნადავლი ვაგონი, 11 სახალხო ვაგონი გამოვუშვით გამაჯანსაღებელი შეკეთებიდან, რითაც სამშობლოს 57 000 მანეთი დავუზოგეთ.

წარმატებითმა მუშაობამ ჩვენს კოლექტივს საპატიო ადგილები მოუპოვა რკინიგზელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენს დეპოს ა/კ რკინიგზაზე პირველი ადგილი ეკავა ოქტომბერსა და ნოემბერში, დეკემბრის 20 დღის შედეგებით მეორე ადგილი გვხვდა. გზაზე მესამე თვეა პირველობას ინარჩუნებს დეპოს მორიგე გიორგი ლაბაძე.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- იუბილე -
85 - რობერტ სუხიაშვილი - 85

"თქვენ რაიონის ერთ-ერთი მემატიანეები ხართ, ეს კი უდიდესი პასუხისმგებლობაა, რადგან ათეული წლების შემდეგ, რაიონის წარსულის ისტორიის მკვლევარებისთვის თქვენი ნააზრევი და გაზეთში გადატანილი ნებისმიერი სტატია, ნარკვევი თუ რეპორტაჟი ერთ-ერთი უმთავრესი დოკუმენტი იქნება. გაუფრთხილდით თითოეულ სიტყვას და რაც მთავარია, წერეთ სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, რომ თვითონაც მართალნი იყოთ უფლის თუ ხალხის წინაშე..." ასე მოძღვრავდა მუდამ ბატონი რობერტი დამწყებ ჟურნალისტებს, რომელთა რიცხვი ორმოცი წლის განმავლობაში ათეულობით ყოფილა. დიახ, ზუსტად ორმოცი წელი ურედაქტორა გაზეთს, რომელიც მისთვის ცხოვრების ნაწილად იქცა, უფრო მეტიც-მთელ ცხოვრებად. მისი უდიდესი დამსახურებაა, რომ ხაშურს დღესაც აქვს ბეჭვდითი ორგანო და ორმოცი წლის ნახარები ხეკეთილი ისევ აგრძელებს სიცოცხლეს. წარმოიდგინეთ, იმ შავ და ბნელითმოცულ 90-იან წლებში, როდესაც ერთიმეორეზე მიყოლებით დაიხურა რედაქციები, რაიონებს შორის, ხაშური იმ იშვიათ გამონაკლისთა შორის იყო, სადაც გაზეთს არ შეუწყვეტია არსებობა. სწორედ ზემოთხსენებული უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა იყო რაიონის და მკითხველის წინაშე, რომ წლების მანძილზე, სრულიად უხელფასოდ, მხოლოდ ენთუზიაზმით გრძელდებოდა რაიონის ცხოვრების ამსახველი მასალებით სავსე გაზეთის დღის სინათლეზე გამოტანა.

ცალკე თემაა მისი შემოქმედება-შესანიშნავი მოთხრობების თუ ლექსების ავტორი, სასიამოვნოა, რომ დღესაც აგრძელებს მუზის მსახურთა რიგებში ყოფნას და ახალი ნამუშევრებით გვახარებს.

ამ დღეებში, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ხაშურის საპატიო მოქალაქე 85 წლის გახდა. გულწრფელად ვულოცავთ ბატონ რობერტს ამ იუბილეს, თავს ვხრით მისი ღვაწლის წინაშე და ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას და უფლის წყალობას ვუსურვებთ.

რედაქციელები

მძიმეა მონომახის ქუდი

ბატონი რობერტი ახალი დანიშნული იყო რაიონული გაზეთის რედაქტორად, ჩემთან შხვედრა რომ ისურვა. გამიკვირდა, მას მხოლოდ შორიდან ვიცნობდი... ორი თუ სამი თვე ოყო, რაც პარტიის რაიკომში საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად გადამიყვანეს. რედაქციაში დაბრუნება შემომთავაზა მოადგილის პოზიციაზე, მაშინვე დავთანხმდი... პირველი წერილი რომ მივუტანე გაზეთისათვის, მეგონა, სხვებივით მეც უკან დამიბრუნებდა წითელი კალმით აჭრელებულს, მაგრამ შევცდი... ჩვენი თანამშრომლობის მანძილზე შენიშვნა არასოდეს მოუცია, სიტყვაც კი არ ჩაუსწორებია... ათეულ წელზე მეტი ვმუშაობდით ერთად და მისი ნდობით ვსარგებლობდი მუდამ... რისთვისაც საქვეყნოდ ვეუბნები მადლობას (თუმცა დაგვიანებულიც კია), არც მაშინ მითქვამს განსაკუთრებული მადლობა ჩემ წიგნზე გულთბილი რეცენზია რომ დაბეჭდა. როგორ არ უყვარდა სიტყვა ბატონო „მიხაილოვიჩს". ეს პარტიულ-ელიტარული მიმართვა ბევრად უფრო ძვირფასი იყო მისთვის, ვიდრე პატივისცემითა და კრძალვით წარმოთქმული „ბატონო". ეს

ის პერიოდია, როცა პოლიტიკური ბოსები ზენიტში არიან, ხოლო გაბრიყვებულებს (ბოდიშს ვუხდი ყველა მშრომელს) - მუშებსა და გლეხებს ცხვრის ფარასავით რომ მიერეკებოდნენ პარტიის რიგებში. ამ დროს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია პარტიისა და აღსკომის ორგანოს, ბუნებრივია, რედაქტორსაც (მძიმე მონომახის ქუდი), რომელიც პარტიისა და მთავრობის იდეების გამტარებელია, მათი პროპაგანდისტია.

მისი რედაქტორობიოს დროს გაზეთი გამრავალფეროვნდა, ბევრი საინტერესო რუბრიკა გვქონდა, მკითხველი მოგვიმრავლდა, ტირაჟმა ათი ათასს გადააჭარბა, ეს დიდ პასუხისმგებლობას თხოულობდა ჟურნალისტებისაგან. გაზეთი კვირაში სამჯერ გამოდიოდა, ე.წ. პეტიტით (წვრილი შრიფტით) ეწყობოდა, ბევრი მასალა იყო საჭირო, ამისთვის კი მუხლჩაუხრელად უნდა გვეშრომა. რესპუბლიკაში ჩვენს გაზეთს მაღალი რეიტინგი ჰქონდა.

შემდეგ, როცა „კომუნისტების მზე" ჩვენ თვალწინ ჩაესვენა, გაზეთმა სხვა ფუნქცია შეიძინა, დამოუკიდებლები გავხდით, თუმცა „წნეხი" არასოდეს გვიგვრძნია ჟურნალისტებს. ვფიქრობ, ეს ბატონი რობერტის დამსახურება იყო, რადგან მუდამ კეთილგანწყობაში იყო რაიონის ხელმძღვანელობასთან.

... ბევრი სიძნელე გადაგვიტანია: უშუქობა, უქაღალდობა, უგაზობა... მაგრამ რედაქციელები მუდამ მხარში ვედექით ერთმანეთს....

ეროვნული მოძრაობის დროს სიტუაცია დაიძაბა ჩვენსა და ხელმძღვანელობას შორის, მათ ჩვენი „თავხედური წერილები" აღიზიანებდათ... აქაც რედაქციის „მეხამრიდი" კვლავ ბატონი რობერტი გახლდათ...

რა დიდი დრო გასულა მას შემდეგ...

ვულოცავ იუბილეს ბატონ რობერტის - სულის მხნეობას და ჯანმრთელობას ვუსურვებ...

ჯერ მხოლოდ შემოდგომაა, მზე ზენიტზე კია, მაგრამ ზამთრამდე ძალიან შორია...

მაყვალა ხაჩიძე

ხაშურისა და ხაშურელების სიყვარულით!

დიახ, სიყვარულით იცხოვრა ჩვენმა ძვირფასმა უფროსმა ძმამ და მეგობარმა რობერ სუხიაშვილმა და სწორედ, სიყვარულით გარემოსილი ხვდება ის თავის სახელოვან იუბილეს.

მთელი ცხოვრების მანძილზე რობერტს არასოდეს უღალატია კაცობისა და სიკეთისათვის, ის ამ პრინციპებით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სადაც უნდა ყოფილიყო.

სულით და გულით პოეტმა თავის არაერთ ლექსში ჩატია სამშობლოს, მშობლიური ქალაქის, ოჯახის, მეგობრების ის წმინდა ადამიანური გრძნობები, რომლითაც თავად ასე გამორჩეულია.

ღვაწლმოსილი ადამიანია ბატონი რობერტი. მისი მოღვაწეობა ხაშურის რაიონული გაზეთის რედაქტორად ნამდვილი მამულიშვილის მიერ საყვარელი საქმისა და მკითხველისადმი დიდი პატივისცემის დადასტურებაა, ხოლო რობერტის ნაშრომები - ჩვენი საგანძური. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ლესია უკრაინკასადმი მიძღვნილი ფუნდამენტური წიგნის გამოცემაც იკმარებდა, რითაც რობერტმა ძეგლი დაუდგა ორი ერის ძმობა-მეგობრობას.

მეგობრობა კი მისთვის უპირველესი მოვალეობა და სულის მოთხოვნილებაა. ამ მხრივაც ვალში არავის დარჩენია ჩვენი რობერტი.

პირნათლად ხვდება თავის იუბილეს, თუმცა ამ თარიღს სულ სხვა ხიბლი ექნებოდა, მის გვერდით ძველებურად რომ იდგეს მისი მეუღლე - ყველა ხაშურელისათვის უძვირფასესი ქალბატონი ლია ვაშაკიძე, რომელიც უდროოდ გამოეცალა ხელიდან და რომლის ხსოვნას რობერტიმ შესანიშნავი კრებული მიუძღვნა.

სიყვარული სიყვარიულის წილ, ახლა სწორედ ეს დრო უდგას ჩვენს ძვირფას მეგობარს. იმკის სიყვარულს, მადლიერებას, სიკეთეს...

მინდა დიდხანს იყოს, დიდხანს ამშვენებდეს ხაშურს ხორციელად და სულიერად ულამაზესი ჩვენი ვალმოხდილი მამულიშვილი - რობერტ სუხიაშვილი!

მრავალჟამიერ!

მურად მთვარელიძე

ცისკიდიდან დანახული ჩვენი ქალაქი. არჩილ სუთიაშვილის ფოტო.

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის ორგანიზებით, ჩატარდა საქართველოს რკინიგზის 150 წლისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში!

საქართველოს მასშტაბით ,ტურნირში მონაწილეობა მიიღო კრინიგზელთა პროფკავშირის წევრებისაგან დაკომპლექტებულმა თოთხმეტმა გუნდმა. ესენი იყვნენ: თბილისის სავაგონო დეპო,,თბილისის სცბ, აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველო; ფილიალ ,,მგზავრთა გადაყვანა", სადგური საკვანძო, სადგური სატვირთო, უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველო, ხაშურის სალოკომოტივო დეპო, ხაშურის სავაგონო დეპო, სადგური ხაშური, სამტრედიის სცბ, სამტრედიის სავაგონო დეპო, სადგური სამტრედია, ქუთაისის სალოკომოტივო დეპო.

თავდაპირველად, გაიმართა რეგიონალური ტურნირი. აღმოსავლეთ რეგიონში ტურნირის გამარჯვებული გახდა თბილისის სავაგონო დეპოს გუნდი, უღელტეხილის რეგიონში ხაშურის სავაგონო დეპოს გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი, ხოლო დასავლეთ რეგიონში გამარჯვებული გახდა სამტრებიის სცბ-ს გუნდი.

ტურნირის ფინალური ეტაპი გაიმართა ქალაქ ქობულეთში, სადაც რეგიონალურ ტურნირში, პირველ ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

რკინიგზის პირველობა თბილისის სავაგონო დეპოს გუნდმა მოიპოვა, მეორე ადგილი ხაშურის სავაგონო დეპოს გუნდმა დაიკავა, მესამე ადგილი კი სამტრედიის სცბ-ს გუნდს შეხვდა.

საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს ფულადი პრიზები, თასები, მედლები და სიგელები გადაეცათ, რის შემდეგაც გაიმართა საზეიმო ბანკეტი.

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი (თავმჯდომარე გელა გელაშვილი) მადლობას უცხადებს ტურნირის ყველა მონაწილეს და ზრუნავს რა დასაქმებულთა, როგორც შორიმის ისე დასვენების უფლების სრულყოფილ რეალიზებაზე,კვლავაც გააგრძელებს აღნიშნული ხასიათის ღონისძიებების ორგანიზებას, რომელიც ხელს შეუწყობს

როგორც, ჯანსაღი ცხოვერბის წესს, ისე ადამიანური ურთიერთობების გაღრმავებას დასაქმებულთა შორის.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.